ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის, დადგენილება №6/46 დამტკიცებული რეგლამენტის საფუძველზე, წარმოგიდგენთ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

28 თებერვალს ჩვენს მიერ საკრებულოსთვის წარმოდგენილი იქნა 2018 წლის გაწეული მუშაობის ფინანსური ანალიზი.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულებისა და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მერია შედგება 9 სტრუქტურული ერთეულისგან_ მერიის სამსახურებისგან, რომელიც შესაბამისი დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს

მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერის დავალებების შესრულებას.

წარმოგიდგენთ მერიის სამსახურების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის 2018 წლის ანგარიში:

საქმისწარმოების განყოფილება 2018 წლის სექტემბრიდან ჩაერთო საქმისწარმოების ერთიან ელექტრონულ სისტემაში და მუშაობს სისტემით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. უზრუნველყოფს შემოსული და ადგილზე შექმნილი დოკუმენტების აღრიცხვისა და დამუშავებას, მერის სახელით მომზადებული დოკუმენტების ელექტრონულ და მატერიალურ დაგზავნას, ადმინისტრაციული წარმოებისა და პროცედურების დაცვას, საქმეთა მომზადებას არქივისათვის ჩასაბარებლად, მუნიციპალიტეტის მოხელეთათვის საქმისწარმოების წესების გაცნობას და კონტროლს მათ დაცვაზე. დღეისთვის საქმისწარმოების განყოფილება დაკომლექტებულია 5 საშტატო ერთეულით.

2018 წელს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრირებულია 4764 შემოსული დოკუმენტაცია (კორესპონდენცია, მოხსენებითი ბარათი, დასკვნა) 1552 ბრძანება, 6229 განცხადება, დარეგისტრირდა და გაიგზავნა 4237 წერილი.

საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში 2018 წლის 1 იანვრიდან 20 დ ეკემბრ ამდე, შემოვიდა, განხილულ იქნა და შესაბამისად პასუხი გაეცა 164 წერილს, მათ შო რ ის პირ ველ 6 თ ვეში _88.

განყოფილება ჩართული იყო სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში. განყოფილება უზრუნველყოფს მერის და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ურთიერთობას მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან. მოეწყო 2 პრეს-კონფერენცია, უზრუნველყოფილ იქნა პრეს რელიზებისა და საინფორმაციო

წერილების გავრცელება, სხვადასხვა უწყებებთან კოორდინირებული ურთიერთობა.

საანგარიშო პერიოდში განყოფილებამ უზრუნველყო 16 საქალაქო ღონისძიების ორგანიზება და გაშუქება. ასევე განყოფილებამ უზრუნველყო ოფიციალური 18 უცხო ქვეყნის დელეგაციების მიღება.

განყოფილებაში, შემოსულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე 39 განცხადება, პასუხები მომზადდა კანონით გათვალისწინებულ ვადებში.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს მერიის სტრუქტურული დანაყოფების მიერ მომზადებული დოკუმენტების სამართლებრივ ექსპერტიზას, საკრებულოზე წარსადგენი განკარგულებებისა და დადგენილებების პროექტების მომზადება-წარდგენას, სასამართლოში მერიის ინტერრესების დაცვას, სხვა სამართლებრივ ჩართულობას მუნიციპალიტეტის საქმიანობაში და ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და მერიის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს. განყოფილება დაკომპლექტებულია ოთხი საშტატო ერთეულით.

საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ უზრუნველყოფილი იქნა მერიაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების და სხვა დოკუმენტების სამართლებრივი გამართულობა და შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან და საკრებულოს ნორმატიულ აქტებთან. განხილულ იქნა 550 შემოსული კორესპონდენცია, მომზადდა საკრებულოს დადგენილებებისა და განკარგულებების 20 პროექტი, მომზადებულ იქნა სასამართლოში წარსადგენი

სარჩელები და შესაგებლები. ასევე, კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე - სააპელაციო საჩივრები. მომზადდა 2 სარჩელი, შესაგებელი 17 ადმინიტრაციულ და 1 სამოქალაქო საქმეზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივრები 6 ადმინისტრაციულ საქმეზე, 1 სამოქალაქო საქმეზე აღსარულებლად იქნა წარდგენილი სასამართლო გადაწყვეტილება და სააღსრულებო ფურცელი.

განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო 18 საქმეზე, მათ შორის მუნიციპალიტეტის მოთხოვნა დაკმაყოფილდა 6 საქმეზე, 6 საქმეზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, 6 საქმე განხილვის სტადიაშია. გაცა 31 საკუთრების უფლების მოწმობა საცხოვრებელ ფართებზე. მომზადდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტტეტის მერის 207 ბრძანების პროექტი, ვიზირებული და შესწავლილი იქნა 171 ბრძანების პროექტი და 16 სამართლებრივი აქტის პროექტი.

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N6/36 დადგენილების მე-8 მუხლის შესაბასამიდ ადამიანური რესურსების განყოფილება უზრუნველყოფს:

ა)მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა საკადრო პოლიტიკის შემუშავებასა და მის განხორციელებას;ბ) მუნიციპალურ მოსამსახურეთა მიერ ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა უზრუნველყოფას და კონტროლს, საკადრო საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას;გ) მერიის მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოებას, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს

კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულის და შესაბამისობის შემოწმებას; დ) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებთან ხელშეკრულების გაფორმებას; აღრიცხვასა და კონტროლს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობების დაცვაზე;ე) მერიის მოსამსახურეთა შვებულებაში გასვლის გრაფიკის შედგენას, კონტროლს მერიის თანამდებობის პირების მიერ კანონით დადგენილი დეკლარაციების წარდგენაზე; მერიის მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოწმობების გაფორმებას და აღრიცხვას;ვ) მერიის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციურ და მართვის პროცედურების ანალიზს და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;ზ) მერიის მოსამსახურეთა სამუშაოთა აღწერილობების მომზადებაში მეთოდურ დახმარებას, მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობებისა და სამუშაოს შესრულების შეფასების და ანგარიშგების კრიტერიუმებისა და ფორმების დადგენას;თ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის პირობების, წახალისების და დისციპლინარული ზომების გამოყენების წესების განსაზღვრის შესახებ წინადადებების მომზადებას;ი) მერიის მოხელეთა შეფასებას, ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების ორგანიზებას;კ) მერიის მოსამსახურეთა პროფესიული დონის ანალიზს, კადრების საჭიროებათა შესწავლას და საკადრო რესურსების გამოყენების პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით შესაბამისი წინადადებების მომზადებას,მათი მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზებას;ლ) სტაჟირებასთან და პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას; გადამზადების პროგრამათა განსაზღვრას; კონტროლს მერიის მოსამსახურეთა მიერ სწავლების

(კვალიფიკაციის) ამაღლების კურსების გავლაზე, სწავლების ეფექტურობის შემოწმებას;

დღეის მდგომარეობით ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში ფუნქციონირებს ორი საშტატო ერთეული, 2018 წლის 1 იანვრიდან დღემდე, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაო:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში საშტატო ერთეული რაოდენობა არის 115, აქედან ორი 2 საშტატო ერთეული ვაკანტურია);

ხელშეკრულებით რაოდენობა - 12, აქედან აქედან 10 დასაქმებულია (2 ვაკანტური);

კუნკურსი გამოცხადდა 28 ვაკანტურ თანამდებობაზე, აქედან 7 ჩაიშალა, მიმდინარეობს კონკურსი 2 ვაკანტურ თანამდებობაზე,

მომზადდა საჯარო მოხელეთა დანიშვნის ბრძანების პროექტი - 26;

ბრძანების პროექტი საჯარო მოხელეთა შვებულების შესახებ - 194;

ბრძანების პროექტი საავადმყოფო ფურცელზე გასვლის შესახებ - 29;

დეკრეტული შვებულებს შესახებ - 3;

ბრძანების პროექტი მომზადდა საჯარო მოხელეთა მივლინების შესახებ - 241;

ბრძანების პროექტი მოვალეობის დაკისრების შესახებ - 13;

დისციპლინარული პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ - 17;

ბრძანების პროექტი განთავისუფლების შესახებ - 9;

ხელშეკრულების გაფორმება - 3, ხელშეკრულების შეწყვეტა - 4;

შემოსული კორესპონდენცია საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ - 12;

ასევე მომზადდა, ბრძანების პროექტი სტაჟიორთა სავალდებულო კვოტის განსაზღვრის შესახებ ბრძანების პროექტი რანგირების შესახებ - კორექტირება - 2მომზადდა ბრძანების პროექტი საჯარო მოსამსახურეთა შეფასების მეთოდების განსაზღვრის შესახებ, სულ განხორციელდა სამი შუალედური შეფასება და საბოლოო შეფასება;

ინსპექტირების განყოფილება უზრუნველყოფს დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივ კონტროლს, თანამშრომელთა მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვის, სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენას, განცხადებების ან საჩივრების შესწავლასა და შესაბამის რეაგირებას, სამსახურებრივი გადაცდომის ან/და დაწესებულების მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმებისა და აღმოჩენის მიზნით განყოფილება ატარებს ინსპექტირებას და კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს საქართველოს კანონითა და შესაბამისი დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქციებს.

ამჟამად ინსპექტირების განყოფილებაში ფუნქციონირებს ორი საშტატო ერთეული.

2018 წლის 01 იანვრიდან ინსპექტირების განყოფილების მიერ განხილულ იქნა მოქალაქის 2 განცხადება და 32 მოხსენებითი ბარათი.

ჩატარებული შემოწმების შედეგად მუნიციპალიტეტის 10 თანამშრომელს მიეცა გაფრთხილება, ხოლო 5 საყვედური. მერის ბრძანებით დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომისგან განთავისუფლდა მუნიციპალიტეტის 5 თანამშრომელი, ხოლო 12 მოხსენებით ბარათზე არ გამოვლენილა დისციპლინური გადაცდომის ფაქტები, 3 მუნიციპალიტეტის თანამშრომელი პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან.

შესყიდვების განყოფილების ანგარიში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმისა და კვარტალური დაყოფის საფუძველზე, მერიის სრტუქტურული ერთეულებისა (სამსახურიები) და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, თავიანთი ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში, ხორციელდება სამი სახის სახელმწიფო შესყიდვა: საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვა.

მერიის სრტუქტურული ერთეულებისა (სამსახურები) და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოთხოვნისა და 2018 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად, შესყიდვების განსახორციელებლად, შესყიდვების განყოფილების მიერ მომზადებულია და სატენდერო კომისიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოცხადებულია 75 ელექტრონული ტენდერი, მათ შორის:

ა) არ შედგა 9 ელქტრონული ტენდერი (გინეკოლოგიურ დაავადებათა გამოკვლევისა და პროფილაქტიკის მომსახურების შესყიდვა SPA 170015415, ქალაქ ფოთის თეატრის კაპიტალური შეკეთების საპროექტო მომსახურების შესყიდვა SPA 180004566, SPA 180004037, უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია SPA 180002518, საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებების შესყიდვა SPA180002196, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსორტო საშუალებების შეკეთება/ტექნიკური მომსახურება SPA 180001238, კონკურსების, გამოფენებისა და სალონური შეხვედრების ორგანიზების მომსახურება SPA 180005690, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის ძრავის შესყიდვა SPA 180005938, ქალაქ ფოთში, პროფესიული დღეების აღნიშვნა, კულტურული ღონისძიების მომსახურების შესყიდვა SPA 180007487);

ბ) შეწყვეტილია 3 ელექტრონული ტენდერი (აუდიტორული მომსახურების შესყიდვა SPA 180004861, SPA 180004135, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული 4 (ოთხი) ავტოსატრანსორტო საშუალების შეკეთება/ტექნიკური მომსახურება SPA 180001716);

გ) დასრულებულია უარყოფითი შედეგით 6 ელექტრონული ტენდერი (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის ძრავის შესყიდვა SPA 180001712, ქალაქ ფოთში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა SPA 180003265, SPA 180004219, ქალაქ ფოთში, დადიანის მოედნის განათების სამუშაოების შესყიდვა NAT 180011361, ქალაქ

ფოთში, დიდების მემორიალის კაპ. შეკეთების შესყიდვა ქალაქ ფოთში, დიდების მემორიალის კაპ. შეკეთების შესყიდვა NAT 180011903, რეგიონალური ფოლკლორული ფესტივალის ,,ფუძეობა" მომსახურების შესყიდვა SPA180007707).

გამოცხადებული ტენდერების ჩატარების შედეგად, დადებითად დასრულდა 57 ელექტრონული ტენდერი. ყველა შემდგარ ტენდერზე განყოფილების მიერ განხილულია პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციები (წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციები ასევე განიხილა სატენდერო კომისიის წევრებმა) და განხილვის შედეგად მომზადებულია შესაბამისი ინტერესთა კონფლიქტები, ოქმები და წერილები, რომლებიც ატვირთულია ელექტრონული ტენდერების შესაბამის მოდულში. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2017 წლის 14 ივნისის, N 12 ბრძანების „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მოთხოვნების დაცვით გამოვლენილია გამარჯვებული პრეტენდენტები და სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმებულია 57 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობითი ხარჯიდან სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით, გამოცხადებულია 15 ელექტრონული ტენდერი გეგმით 135071,00 ლარი, სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გაფორმებულია 15 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 114467,20.

სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის მიზნით, გაფორმებულია სულ 110 ხელშეკრულება (მათ შორის კონსოლიდირებული) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს შესაბამისი სამთავრობო კომისია, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს აქტიური ჩართულობით 2012 წლიდან გარკვეული ტიპის შესყიდვის ობიექტებზე ახორციელებს შესყიდვებს ცენტრალიზებული ფორმით, ე.წ. კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით. საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელზეც სავალდებულო წესით ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება ვალდებულია, 2018 წლის განმავლობაში კონსოლიდირებულ ტენდერებში გამარჯვებული პრეტენდენტებისგან შეისყიდოს სხვადასხვა სახეობის საწვავი (დიზელი, ბენზინი), პერსონალური და პორტაბელური კომპიუტერები, A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდები, ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურება, უწყვეტი კვების წყარო და ავტომანქანის საბურავი. მიმდინარე წლის განმავლობაში კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმებულია 18 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის ctd.spa.ge სისტემის მეშვეობით, წარდგენილია ინფორმაცია, კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, 2018 წლის 30 ნოემბერს განვითარებული სტიქიური მოვლენების (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებისა და სხვა შენობა-ნაგებობების სახურავები,

დაზიანდა მინი სტადიონების ხელოვნური საფარი და სტადიონების ლითონის ელემენტები.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის N 2367 განკარგულების თანახმად, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 000 000 (ერთიმილიონი) ლარი, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საპროექტო მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებით 2018 წლის 20 დეკემბერს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გაეგზავნა მიმართვა შესათანხმებლად. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, 2018 წლის 24 დეკემბრის N 3200 განკარგულების საფუძველზე (რეგისტრაციის ნომერი SMP მოდულში - SMP180002857) დაკმაყოფილდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოთხოვნა. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საპროექტო მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებით, გაფორმდა სულ 9 (ცხრა) საელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, სხვადასხვა სამშენებლო კომპანიებთან, საერთო თანხაზე 966 976,62 ლარი.

2018 წლის 30 ნოემბერს, განვითარებული სტიქიური მოვლენების (ძლიერი ქარი) შედეგად ჩვენს ქალაქში დაზიანდა, კერძო სექტორში მცხოვრები მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები.

სამუშაო ჯგუფმა, 2018 წლის 17 დეკემბრის სხდომის ოქმი N 2-ის საფუძველზე, დაამტკიცა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, 2018 წლის 30 ნოემბერს, ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული კერძო სექტორში მდებარე საცხოვრებელი სახლების რაოდენობა, დაზარალებულ პირთა მონაცემები და მიყენებული ზიანის საერთო ღირებულება 31900,00 (ოცდათერთმეტიათასცხრაასი) ლარი.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 17 დეკემბრის, N 04/448 ბრძანების თანახმად, სარეზერვო ფონდიდან გამოიყო თანხა 31900,00 (ოცდათერთმეტიათასცხრაასი) ლარი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2018 წლის 18 დეკემბერს, ეთხოვა გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, კერძო სექტორში მცხოვრები მოსახლეობისათვის გადასახური მასალის (შიფერი) შესყიდვის მიზნით, შეთანხმების თაობაზე. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2018 წლის 20 დეკემბრის, N 3108 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს მიეცა თანხმობა, გამარტივებული შესყიდვების განხორციელებაზე. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ დაკმაყოფილდა მოთხოვნა და 2018 წლის 21 დეკემბერს, გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 151 ხელშეკრულება, საერთო თანხით 31900,00 ლარი. გადასახური მასალა (შიფერი) შესყიდულ იქნა და დაურიგდა, კერძო სექტორში მცხოვრებ მოსახლეობას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის ანგარიში

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახური უზრუნველყოფს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამშენებლო სამუშაოების შესრულების კონტროლსა და მონიტორინგს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს, სახელმწიფო შესყიდვების დოკუმენტაციების მომზადებას, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების შემუშავებას და მათი განხორციელების მონიტორინგს, მუნიციპალურ ნარჩენებთან დაკავშირებით საკითხების მომზადებას, ნაპირგამაგრებითი, წყალარინებისა და მელიორაციის საკითხებთან დაკავშირებით დოკუმენტაციის მომზადებას, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის დაგეგმარებას, მარშუტებისა და გრაფიკების დადგენას, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის შესახებ შესაბამის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით დოკუმენტაციის მომზადებას. სამსახური დამტკიცებული დებულების თანახმად შედგება სამი განყოფილებისაგან, რომელთა მუშაობის შედეგებს წარმოგიდგენთ განყოფილებების მიხედვით.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და მშენებლობის განყოფილება

დამთავრებული ობიექტები:

1. ქალაქ ფოთში, ახალ რაიონში საბავშვო ბაღის მიმდებარე ეზოს მოწყობის სამუშაოები 2018 წლის 27 თებერვლის N25 ხელშეკრულების საფუძველზე შეასრულა შპს „ტოტალ"-მა. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა თანხით 18467 ლარი. სამუშაოები დასრულდა 2018 წლის 27 მარტს თანხით 18436,97 ლარი.

2. ქალაქ ფოთში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის ეზოს მოწყობის სამუშაოები 2018 წლის 22 მაისის N76 ხელშეკრულების საფუძველზე შეასრულა შპს „ოსო"-მ. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა თანხით 16921,20 ლარი. სამუშაოები დასრულდა 2018 წლის 29 ივნისს თანხით 16921,20 ლარი.

3. ქალაქ ფოთში, საგანგებო სიტუაციების და კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების შენობის მშენებლობა 2017 წლის 07 ნოემბრის N122 ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელა შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა „მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველომ". სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 364190,58 ლარს. ობიექტი ჩაბარდა 2018 წლის 08 აგვისტოს თანხით 361351,76 ლარი.

4. ქალაქ ფოთში, სპორტული დარბაზის რეკონსტრუქციის (ნ.ჟვანიას ქუჩაზე მდებარე სპორტული დარბაზის კაპ.შეკეთება) 2017 წლის 23 აგვისტოს N108 ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელა შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა „მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველომ". სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 548828,13 ლარს. ობიექტი ჩაბარდა 2018 წლის 31 ივლისს თანხით 528265,52 ლარი.

5. ქალაქ ფოთში, 26 მაისის ქუჩა N6-ში მდებარე N1 ბაღი, აკაკის ქუჩა N42-ში მდებარე N6 ბაღი, მარჯანიშვილის ქუჩა N17-ში მდებარე N10 ბაღი, თამარ მეფის ქუჩა N102-ში მდებარე N16, გურიის ქუჩა N195-ში მდებარე N13 საბავშვო ბაღების შენობის გაზიფიცირების სამუშაოები 2018 წლის 20 აპრილის N60 ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელა შპს „ალმა-რუს საქართველოს ფილიალმა“. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 180288,87 ლარს. ობიექტი ჩაბარდა 2018 წლის 23 აგვისტოს თანხით 174292,50 ლარი.

6. ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N8, 9 აპრილის ხეივანი N18 და 25 საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები 2018 წლის 25 აპრილის N62 ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელა შპს “გილანი XXI“-მა. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 156201,64 ლარს. ობიექტი ჩაბარდა 2018 წლის 24 აგვისტოს თანხით 142942,21 ლარი.

7. ქალაქ ფოთში, რუსთაველის ქუჩა ,კოსტავას ქუჩა რუსთაველის რკალიდან 8 მარტის ქუჩამდე, ჭანტურიას ქუჩა , აკაკის ქუჩა, წმ.გიორგის ქუჩა, ბარათაშვილის ქუჩა, ნინოშვილის ქუჩა, ჩხეიძის ქუჩა, ლოლუას ქუჩა კოსტავას ქუჩიდან ფარნავაზ მეფის ქუჩამდე, ლაგრანჟეს ქუჩა, ფარნავაზ მეფის ქუჩა, ზერაგიას ქუჩა, გამსახურდიას ქუჩა რუსთაველის რკალიდან ზამბახიძის ქუჩამდე, სამეგრელოს მოედანი, მარჯანიშვილის ქუჩა, ნიკოლაძის სანაპირო, 9 აპრილის ხეივანი, რეკვავას ქუჩა, კლდიაშვილის ქუჩა, ვაჟა ფშაველას ქუჩა, გორგასალის ქუჩა, შავი ზღვის სანაპირო, ფალიაშვილის ქუჩა, ჯავახიშვილის ქუჩა, ლერმონტოვის ქუჩა გურიის ქუჩიდან გაგრის ქუჩის შესასვლელამდე ქუჩების ორმული შეკეთების სამუშაოები 2018 წლის 24 აგვისტოს N108 ხელშეკრულების საფუძველზე შეასრულა შპს „გზა-მშენებელი

13“-მა. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 99474 ლარს. სამუშაოები დასრულდა 2018 წლის 08 ოქტომბერს, თანხით 99342,14 ლარი.

8. კულტურული მემკვიდრეობის სარესტავრაციო სამუშაოების, ნიკო ნიკოლაძის მემორიალური ავეჯის სარესტავრაციო სამუშაოები 2018 წლის 14 სექტემბრის N120 ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელა ფ/პ ვახტანგ ხოშტარიამ. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 9975 ლარს. სამუშაოები დასრულდა 2018 წლის 02 ოქტომბერს თანხით 9975 ლარი.

9. ქალაქ ფოთში, უპოვართა სასადილოს დარბაზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები 2018 წლის 30 აგვისტოს N109 ხელშეკრულების საფუძველზე შეასრულა შპს „გუდა-1979“-მა. სახელშეკრულები თანხა შეადგენდა 39200,78 ლარს. სამუშაოები დასრულდა 2018 წლის 31 ოქტომბერს თანხით 39157,84 ლარი.

10. ქალაქ ფოთში, ცენტრალური ქუჩების ტროტუარების კეთილმოწყობის (ფარნავაზ მეფის ქუჩა სამეგრელოს მოედნიდან რუსთაველის რკალამდე) სამუშაოებს 2018 წლის 21 მაისის N74 ხელშეკრულების საფუძველზე შეასრულა შპს „მ.გ.მ.“-მა. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა თანხით 365229,17 ლარი. სამუშაოები დასრულდა 2018 წლის 02 ნოემბერს თანხით 321400,40 ლარი.

11. ქალაქ ფოთში, დადიანის მოედნის განათების სამუშაოები 2018 წლის 27 სექტემბრის N123 ხელშეკრულების საფუძველზე შეასრულა შპს „ტოტალ“-მა . სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა თანხით 25285,56 ლარს. სამუშაოები დასრულდა 2018 წლის 29 ნოემბერს თანხით 24722,32 ლარი.

12. ქალაქ ფოთში გალერეისა და გზის დაზიანებული ასფალტოსაფარის აღდგენით სამუშაოებს (9 აპრილის ხეივნისა და ნიკო ნიკოლაძის სანაპიროს კვეთაზე) 2018 წლის 08 ნოემბრის N137 ხელშეკრულების საფუძველზე შეასრულა შპს „გზა-მშენებელი 13“-მა. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა თანხით 25291 ლარს. სამუშაოები დასრულდა 2018 წლის 27 ნოემბერს თანხით 24830,74 ლარი.

13. ქალაქ ფოთში, დიდების მემორიალის კაპ.შეკეთების სამუშაოებს 2018 წლის 27 სექტემბრის N124 ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებდა შპს „ტოტალ“-ი. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 67523,14 ლარს. სამუშოები დასრულდა 2018 წლის 20 დეკემბერს. სამუშაოები დასრულდა 20 დეკემბერს თანხით 66059,75 ლარი.

14. ქალაქ ფოთში, N11, N12, N13, N14, N15, N17 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების კაპ.შეკეთების სამუშაოებს 2018 წლის 28 სექტემბრის N126 ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებდა შპს „ტოტალ“-ი. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 93669,56 ლარს. სამუშაოები დასრულდა 2018 წლის 17 სექტემბერს. შესრულებული სამუაშოების აქტი ფორმა N2 გაგზავნილია დასაექსპერტებლად შპს „თი აი ჯი აუდიტ ესკორტში“.

მიმდინარე ობიექტები:

1. სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოებს 2017 წლის 04 ივლისის N86 ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს შპს "ელიტა ბურჯი". სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 2 013 317,99 ლარს. სამუშაოს დასრულების ვადა განისაზღვრა 2019 წლის 20 თებერვლის ჩათვლით. მიმდინარეობს მუშაობა.

2. მალთაყვის სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზა) რეაბილიტაციის სამუშაოებს 2017 წლის 30 ივნისის N84 ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს ფ/წ „ანტ სტროი ლტდ 2016“. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 3805925,79 ლარს. სამუშაოს დასრულების ვადა განისაზღვრა 2018 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

3. ქალაქ ფოთში, დიმიტრი თავდადებულის ქუჩა N11; მემედ აბაშიძის N14; ნელი არზიანის N9, N11,N13; ბარათაშვილის N25, ზამბახიძის N26,28, გამსახურდიას N16 ს/სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოებს 2018 წლის 07 სექტემბრის N114 ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს შპს „შანსი-2010“. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 193102 ლარს. სამუშაოს დასრულების ვადა განისაზღვრა 2018 წლის 06 დეკემბრის ჩათვლით. (ერიცხება ჯარიმა) შესრულებული სამუშაოების აქტი ფორმა N2-ით დაფიქსირებულია 72348,95 ლარი.

4. 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული 9 აპრილის ხეივანი N23 ს/სახლის სახურავის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებს 2018 წლის 27 დეკემბრის N156 ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს შპს „ოჩე“. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 61079,79 ლარს. სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

5. 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული 9 აპრილის ხეივანი N28 ს/სახლის სახურავის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებს 2018 წლის 27 დეკემბრის N155 ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს ინდ/მეწარმე „ელდარ ჯოჯუა“. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს

124051,60 ლარს. სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

6. 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული 9 აპრილის ხეივანი N19 და სამეგრელოს ქუჩა N24 ს/სახლის სახურავის კაპიტალური შეკეთების; აღმაშენებლის ქუჩა N24, გეგიძის ქუჩა N15, გორგასალის ქუჩა N10, ახალ რაიონში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავის რემონტის; მარჯანიშვილის ქუჩა N17-ში მდებარე N10 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების და თამარ მეფის ქუჩა N54-ში მდებარე N17 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სახურავის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებს 2018 წლის 27 დეკემბრის N158 ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს შპს "მემონტაჟე-2014". სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 250944,23 ლარს. სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

7. 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული სამეგრელოს ქუჩა N22, N28 და ელადას ქუჩა N14, N19 ს/სახლების სახურავის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების 2018 წლის 27 დეკემბრის N160 ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს შპს „უნივერსალი". სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 236691 ლარს. სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

8. 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული პუშკინის ქუჩა N69, სამეგრელოს ქუჩა N20, ფარნავაზ მეფის ქუჩა N3, ბარათაშვილის N25 და ზამბახიძის N28 ს/სახლების სახურავების და ჩხეიძის ქუჩა N37-ში მდებარე N5 და ჯიქიას ქუჩა N3-ში მდებარე N11 სკოლამდელი

სააღმზრდელო დაწესებულების სახურავის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებს 2018 წლის 27 დეკემბრის N161 ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს შპს „რიონი-2018“. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 190667,54 ლარს. სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

9. 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული ბარათაშვილის, ჭავჭავაძის, ერთობის ქუჩებზე და ნიკოლაძის სანაპიროზე მდებარე მინი სტადიონების სარემონტო სამუშაოებს 2018 წლის 27 დეკემბრის N162 ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს ინდ/მეწარმე „ალიკა სერგია“. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 24079,86 ლარს. სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

10. 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული გურიის ქ. N181 მრავალბინიანი ს/სახლის სახურავის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებს 2018 წლის 27 დეკემბრის N163 ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს შპს „მოდული“. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 21419,10 ლარს. სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

11. 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული ჭავჭავაძის ქუჩა N154-ში მდებარე N14 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სახურავის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებს 2018 წლის 31 დეკემბრის N169 ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს ინდ/მეწარმე „ფრიდონ შენგელია“ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 24956,91 ლარს. სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

12. 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული ჭყონდიდელის ქუჩა N18 ს/სახლის სახურავის კაპიტალური შეკეთების,ჭავჭავაძის ქუჩა N144, N148, N150, N152, N156, N158 ს/სახლის ლიფტის შახტის სახურავის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებს, 2018 წლის 27 დეკემბრის N159 ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს შპს ,,ჯი არ სი“, სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 55416,26 ლარს. სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

ინფრასტრუქტურის, წყალარინებისა და მელიორაციის განყოფილება

განყოფილება უზრუნველყოფს მუნიციპალური ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-პატრონობის განხორციელებას და ზედამხედველობას, კერძოდ:

მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების მოვლა-პატრონობა - შპს ,,ფოთი ლიფტი“ (დირექტორი მერაბ როყვა).

მაკონტროლებელი - ინფრასტრუქტურის, წყალარინებისა და მელიორაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - თემური ოდიშარია

2018 წელს, მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების მოვლა-პატრონობის კუთხით გათვალისწინებული იყო 27 239 ლარი. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 27 186,03 ლარი. (სატენდერო განცხადების ნომერი: SPA180002841 12.03.2018წ. ხელშეკრულება N47, 05.04.2018 – 31.12.2018; შეთანხმება N47/1

17.10.2018წ.). მომსახურების გაწევის ვადა - 2018 წლის 05 აპრილიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ზემოაღნიშნული ორგანიზცია ემსახურება რვა და ცხრა სართულიან 42 სახლში არსებულ 65 ერთეულ სამგზავრო ლიფტს. მომსახურება მოიცავს: ლიფტის ძალოვან ტრანსფორმატორებზე, მართვის კარადაზე, ელექტრო ძრავებზე და გამშვები აპარატურის მუშაობაზე მუდმივი მეთვალყურეობის დაწესებას, მათი გამართულ მდგომარეობაში ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში მიმდინარე რემონტს.

ლიფტების გაუმართაობის შესახებ მოსახლეობისაგან ინფორმაციის მიღება ხდება სატელეფონი კავშირით, ყოველ შემოსულ ზარზე ხდება ოპერატიული რეაგირება.

უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია, კერძოდ: მოხეტიალე ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის მომსახურება - შემსრულებელი ი/მ ,,გიორგი მაღლაფერიძე“.

მაკონტროლებელი - ინფრასტრუქტურის, წყალარინებისა და მელიორაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ემზარ კუპრაძე.

2018 წელს, უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაციისთვის, კერძოდ: მოხეტიალე ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის მომსახურებისთვის გათვალისწინებული იყო 29983,80 ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29983,80 ლარი, დღგ-ს ჩათვლით. (სატენდერო განცხადების ნომერი: SPA180004038 19.04.2018წ. ხელშეკრულება N67, 07.05.2018 – 20.12.2018). მომსახურების გაწევის ვადა - 2018 წლის 07 მაისიდან 2018 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

მომსახურება მოიცავს: მაწანწალა ძაღლების დაჭერას და მათ გადაყვანას თავშესაფარში (სულ 363 ძაღლი). თავშესაფარში გადაყვანილი ცხოველების შესაბამისი გამოკვლევების შემდგომ მათი სტერილიზაცია, კარტრაცია, ვაქცინაცია და სხვა ვეტერინალური მომსახურების გაწევა, მარკირება ყურის კლიპის მეშვეობით (დაბირკვა) და არეალში დაბრუნება.

საანგარიშო პერიოდში იზოლირებულ იქნა 363 მაწანწალა ძაღლი (შემოვიდა 81 სატელეფონო შეტყობინება, 5 განცხადება).

მაკონტროლებელი - ინფრასტრუქტურის, წყალარინებისა და მელიორაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - თემური ოდიშარია

2018 წელს, ქალაქ ფოთში, საახალწლო და სადღესასწაულო ქალაქგაფორმების დემონტაჟისთვის გათვალისწინებული იყო 13738,74 ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 13424,28 ლარი (ხელშეკრულება N6 29.01.2018).

საახალწლო ქალაქგაფორმებისათვის ინვენტარის შეძენა (გამარტივებული შესყიდვა -შპს ,,დანდი“), ღირებულება 4862 ლარი.

ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-პატრონობას ახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“, რომლის შესრულებული სამუშაოების მიმდინარეობის კონტროლი ევალება ინფრასტრუქტურის,

წყალარინებისა და მელიორაციის განყოფილების თანამშრომლებს:

ინფრასტრუქტურული ობიექტები: სანიაღვრე არხების, სატუმბი სადგურების, გარე განათების, საბინაო ფონდის, ცენტრალური პარკების მოვლა-პატრონობა, უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია (ძროხები), ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება, ქუჩების დაგრეიდერება, ქუჩების მონიშვნა, გარე განათების და სატუმბი სადგურების ელ. ენერგიის ხარჯები.

სამსახურში შექმნილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლის, აღდგენისა და შესაბამისი ნებართვის გაცემის შემსწავლელი მუშა ჯგუფი, რომელიც იხილავს ხეების მოჭრა-ფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე სამსახურის თანამშრომლები ჩართულები იყვნენ სტიქიისაგან მიყენებული ზარალის დათვლის კომისიაში და სალიკვიდაციო სამუშაოების ზედამხედველობაში.

2018 წლის ივლისის თვეში ჩატარდა კონფერენცია გარემოსდაცვითი პროექტების შესახებ, მსოფლიო ბანკისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში, კერძოდ:

1. პალიასტომის ტბის ჰიდროდინამიური რეჟიმის აღდგენა და მდ. კაპარჭინის გაწმენდა;

2. მდ. რიონის ქალაქის შტოს არხის გაწმენდა და ზღვის შესართავი შტოს აღდგენა;

3. ზღვის ნაპირდამცავი მოტივტივე ტალღაშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობის ინოვაციური პროექტის პრეზენტაცია;

4. მდინარის (რიონი, კაპარჭინა) შლამის გამოყენება.

გრძელდება მონაწილეობა აღნიშნულ პროგრამაში.

ასევე, მთავრობის დადგენილების საფუძველზე მიღებული ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის შესაბამისად, ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრთან" შეიქმნა ზედამხედველობის ჯგუფი, რომელიც განახორციელებს პროგრამის აღსრულებას, კერძოდ, 2019 წლის 1 თებერვლიდან დაიწყება ნარჩენების გატანის სეპარირებულ სისტემაზე გადასვლა და სხვა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 ივლისის N17/23 დადგენილებით, ქალაქ ფოთის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაწესებულია ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის 22 მარშრუტი (M2 კატეგორია), საიდანაც 17 სამარშრუტო ხაზზე მოიპოვეს ნებართვები კონკურსანტებმა (ინდ/მეწარმეებმა).

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 13 ნოემბრის №849 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა 64 ინდ/მეწარმე, მგზავრთა გადაყვანის მოსაკრებლის თანხა შეადგენს თითო მიკროავტობუსისთვის 25 ლარს თვეში. თანხა ირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში. (წლის განმავლობაში გაუქმდა 4 ინდ/მეწარმის მგზავრთა გადაყვანის ნებართვა, პირადი განცხადების საფუძველზე).

მიკროავტობუსების 100% კერძო საკუთრებაა. მგზავრობის ფასი მიკროავტობუსებისთვის შეადგენს 50 თეთრს, გამონაკლისს წარმოადგენს №5 სვლაგეზზე მოძრავი მიკროავტობუსი, რომლითაც მგზავრობის ღირებულებაა 40 თეთრი.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 25 მაისის N602 ბრძანების თანახმად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო შპს „ფოთიქალაქტრანსპორტმა“ (ნებართვა გაიცა 3 ერთეულ ავტობუსზე, ავტობუსმა, სახ. ნომერი XB-881-BX ვერ დააკმაყოფილა საკონკურსო პირობები) და 4 ინდ/მეწარმემ.

